პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 144 (10538) | პარასკევი, 22 ივნისი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

მშვიდობის დიდი ბურჯი

თხუთმეტი წლის წინათ — 1941 წლის 22 ივნისს — ფაშისტური გერმანიის კაცთმოძულე ურდოები ვერაგულად დაესხნენ თავს მშვიდობისმოყვარე საბჭოთა ხალხს.

კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით დარაზმული საბჭოთა ხალხი, ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალები გმირულად ჩაებნენ ფაშისტ აგრესორთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში. დაიწყო მთელი ჩვენი ხალხის სამართლიანი, წმიდათაწმიდა, დიდი სამამულო ომი.

გერმანელი ფაშისტები ფიქრობდნენ, რომ საბჭოთა სახელმწიფო პირველი დარტყმისთანავე დაიშლებოდა, ერთიან ოჯახად შეკავშირებულ ხალხთა ძმური კავშირი დაირღვეოდა. მაგრამ ჰიტლერელი დამპყრობლები ანგარიშში მოტყუვდნენ. ჩვენი ქვეყნის ძმიმე მრეწველობის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის კოლექტიურ მეურნეობად გარდაქმნის შედეგად, საბჭოთა ხალხის ერღვევი მეგობრობისა და მთელი საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცების შედეგად შექმნილი იყო მტერზე გამარჯვების მთავარი პირობები.

ძმიმე განსაცდელის დღეებში მთელი ხალხი აღდგა საყვარელი სამშობლოს დასაცავად. შრომის ფრონტზე — ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩვენი ადამიანები: მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, სახელოვანი ახალგაზრდობა, საბჭოთა ქალები ისევე ენერგიულად, ძალღონის დაუზოგავად იბრძოდნენ, როგორც არმიისა და ფლოტის მეომრები სამამულო ომის ფრონტებზე.

ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივმა და სახელმწიფოებრივმა წყობილებამ ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო. საბჭოთა ხალხმა დიდი სამამულო ომი ბრწყინვალე გამარჯვებით დააგვირგვინა.

კომუნისტური პარტია ყოველთვის ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის იმ დებულებით, რომ ისტორიის შემოქმედი ხალხია. უძლეველია ხალხი, რომელმაც იგემა თავისუფალი შემოქმედებითი შრომის სიკეთე. „ვერასოდეს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — რომლის მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა, რომ ისინი იცავენ თავიანთ, საბჭოთა ხელისუფლებას — მშრომელთა ხელისუფლებას, რომ იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვება მათთვის და მათი შვილებისთვის უზრუნველყოფს კულტურის მთელი სიკეთით, ადამიანის შრომის ყველა ქმნილებით სარგებლობის შესაძლებლობას“.

საბჭოთა ხალხმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების და ანტიჰიტლერული კოალიციის სხვა ქვეყნების ხალხებთან და არმიებთან საბრძოლო თანამოქმედებით გაანადგურეს ფაშისტური არმიები და აიძულეს ჰიტლერული გერმანია უსიტყვო კაპიტულაცია მოეხდინა.

ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ გაჩაღებულ სამართლიან ომში მოპოვებულ იქნა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება. ევროპისა და აზიის მილიონობით ადამიანმა თავი დააღწია ჰიტლერული დამონების საშიშროებას.

სამართლიანი, განმათავისუფლებელი ომის მთავარი ტვირთი საბჭოთა ხალხმა გადაიტანა. მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, დიდი რუსი ხალხის მეთაურობით გმირულად იბრძოდა სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

საბჭოთა კავშირი, რომელიც მთავარი გადამწყვეტი ძალა იყო ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, დიდი სამამულო ომიდან კიდევ უფრო განმტკიცებული და ძლიერი გამოვიდა.

ომისშემდგომ პერიოდში მსოფლიოში ბევრი რამ შეიცვალა. კაპიტალის ბატონობის უღლისაგან განთავისუფლდნენ და სოციალიზმის მშენებლობის გზას დაადგნენ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, გაიმარჯვა ჩინეთის სახალხო რევოლუციამ, შეიქმნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, გერმანიისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკები, წარმოიქმნა მშვიდობისა და დემოკრატიის უძლეველი ბანაკი. სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად გადაიქცა.

დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ბურჯია დიდი საბჭოთა კავშირი, რომელიც სათავეში უდგას პროგრესული კაცობრიობის ბრძოლას მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის.

ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ მშვიდობისათვის ბრძოლაში ჩაებნენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მილიონობით კეთილი ნების ადამიანები. მშვიდობის მომხრეთა რიგებში იბრძვიან კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მშრომელები, კაპიტალისტური ქვეყნების შეგნებული მშრომელები. ამრიგად მშვიდობისათვის მოძრაობა უდიდეს ძალად იქცა, რომელმაც გზა გადაუღობა ომის იმპერიალისტ გამჩაღებლებს.

მშვიდობის ძალებს, მთელ პროგრესულ კაცობრიობას აღაფრთოვანებს საბჭოთა კავშირის ბრძნული საგარეო პოლიტიკა, თანმიმდევრული ბრძოლა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, სადავო საკითხების მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადაჭრისათვის, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირი მშვიდობის დაცვის ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელების საუკეთესო მაგალითს აძლევს სხვა ქვეყნებს.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენას, ინდოეთის, ბირმისა და ავღანეთის ხალხებთან მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას. ინგლისის მთავრობის მიწვევით საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელების ამხ. ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობამ დიდ ბრიტანეთში ხელი შეუწყო ამ ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის გაფართოებას, სხვადასხვა წყობილების მქონე სახელმწიფოთა ურთიერთგაგების გაადვილებას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ იცავენ სხვადასხვა წყობილების მქონე სახელმწიფოთა თანაარსებობის ლენინურ პრინციპს. ჩვენს ხალხს ომი არა სურს. იგი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომით ქმნის დიად მომავალს, აშენებს ახალ, კომუნისტურ საზოგადოებას.

საბჭოთა ხალხს გრანდიოზული ამოცანები დაუსახა პარტიის XX ყრილობამ. მეექვსე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სამრეწველო პროდუქციის წარმოების ერთისამად გაორმაგება 1950 წლის დონესთან შედარებით. ხუთწლედის ბოლოს მარცვლეულის ყოველწლიური წარმოება აყვანილ უნდა იქნას 11 მილიარდ ფუთამდე. ახალი ხუთწლედის წარმატებით შესრულების საწინდარია კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა, საბჭოთა მთავრობის მიერ ლენინური სამშვიდობო პოლიტიკის თანმიმდევრული გატარება, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცება. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ერთგულად იცავენ ყველაზე მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი ჩვენი ქვეყნის სახელოვანი შეიარაღებული ძალები.

მსოფლიოში არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს დიდი ლენინის გენიით გაშუქებულ გზას — კომუნიზმის მშენებლობის გზას — ააცდინოს საბჭოთა ხალხი.

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბ-ნი მონგ ონი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა 20 ივნისს მიიღო ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი მონგ ონი.

ელჩმა მონგ ონმა გადასცა ნ. ა. ბულგანინს ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის უ ბა სვეს და ბირმის სახალხო თავისუფლების ანტიფაშისტური ლიგის პრეზიდენტის უ ნუს წერილები, რომლებიც გამოგზავნილია ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მისასალმებელი წერილების პასუხად, რაც მათ მიიღეს. (საკდესი).

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი მონგ ონი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა 20 ივნისს მიიღო ბირმის კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი მონგ ონი.

ელჩმა მონგ ონმა გადასცა ნ. ს. ხრუშჩოვს ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის უ ბა სვეს და ბირმის სახალხო თავისუფლების ანტიფაშისტური ლიგის პრეზიდენტის უ ნუს წერილები, რომლებიც გამოგზავნილია ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის მისასალმებელი წერილების პასუხად, რაც მათ მიიღეს. (საკდესი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

მატყლის წარმოებისა და დამზადების შემდგომი გაღიდების ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილა მატყლის წარმოებისა და დამზადების შემდგომი გადიდების ღონისძიებათა საკითხი და აღნიშნა, რომ მატყლის წარმოება ჩვენს ქვეყანაში სერიოზულად ჩამორჩება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს.

მეცხვარეობის უფრო სწრაფად განვითარების შესაძლებლობებს, რომლებიც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებშია, ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ იყენებენ. ყაზახეთის სსრ, საქართველოს სსრ, ციმბირის ოლქების, რუსეთის სფსრ ცენტრალური და ჩრდილო-დასავლეთი ოლქებისა და მთელი რიგი სხვა რაიონების ბევრ კოლმეურნეობაში უკანასკნელ წლებში შემცირდა ცხვრის სულადობა და მატყლის წარმოება. კოლმეურნეობებმა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა, განსაკუთრებით ყირგიზეთის სსრ, ბაშკირეთის ასსრ, სარატოვის ოლქისა და ზოგიერთი სხვა რესპუბლიკისა და ოლქის კოლმეურნეობებმა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა შეასუსტეს ყურადღება მეცხვარეობაში საჯიშე საქმისადმი, დამაკმაყოფილებლად ვერ აწყობენ მუშაობას ცხვრის ხელოვნური დათესვის განხორციელებისათვის. ზოგჯერ საჯიშედ იყენებენ ნახევრადუხეშმატყლიან და თვით უხეშმატყლიან ყოჩებს, მაშინ როცა არის ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი ცხვრის წარმატებით მოშენების პირობები.

ცხვრის არადამაკმაყოფილებელი კვებისა და შენახვის, ფარის მომრავლების საკითხებისადმი სათანადო ყურადღების უქონლობის შედეგად ბევრი კოლმეურნეობა ყოველწლიურად დიდი რაოდენობით ვერ იღებს ნამატს. მოზარდეულის გამოსავლიანობა 100 დედაცხვარზე განსაკუთრებით დაბალია შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების კოლმეურნეობებში, აგრეთვე რუსეთის სფსრ მთელი რიგი ოლქების კოლმეურნეობებში.

მთელი რიგი ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები და კოლმეურნეობათა გამგეობები არ იღებენ ღონისძიებებს იმისათვის, რომ საჭირო კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები შეუქმნან მწყემსებს, განსაკუთრებით სამომთაბარო საძოვრებზე, და სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მწყემსთა კადრების მომზადებას.

მეცხვარეობის ჩამორჩენა აიხსნება აგრეთვე იმით, რომ მატყლის დასამზადებელი და შესასყიდი მოქმედი ფასები ვერ უქმნის კოლმეურნეობებს საკმაო დაინტერესებას მეცხვარეობის შემდგომი განვითარებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო აღმასკომებსა და საოლქო აღმასკომებს:

მიიღონ ღონისძიებანი მეცხვარეობის განვითარებაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის და უზრუნველყონ ცხვრის კვებისა და შენახვის გაუმჯობესება, რათა მნიშვნელოვნად გადიდდეს მატყლის წარმოება ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე შრომისა და სახსრების მინიმალური დახარჯვით და ვადამდე შეასრულონ მეცხვარეობის განვითარების დავალებანი, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებით;

უახლოეს ორ-სამ წელიწადში განახორციელონ ღონისძიებანი ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესებისა და ბალახთესვის განვითარებისათვის იმ რაიონებში, სადაც მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახები კარგ მოსავალს იძლევიან, უზრუნველყონ ყოველ წელს კარგი ხარისხის თივის, სიმინდის სილოსის, მწვანე საკვებისა და საფურაჟე მარცვლეულის წარმოება ისეთი ოდენობით, რაც საჭიროა ცხვრის უხვად კვებისათვის. სამომთაბარო საძოვრების რაიონებში უზრუნველყონ თივის საჭირო სადაზღვევო მარაგის შექმნა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, რომ იმ ფართობებზე, რომლებსაც კოლმეურნეობები იყენებენ მარცვლეული კულტურების სათესად სამომთაბარო საძოვრებზე, არ უნდა იანგარიშონ მარცვლეულის სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარება. ნატურალური ანაზღაურება სამომთაბარო საძოვრების ნაკვეთებზე მარცვლეული კულტურების მოყვანის იმ სამუშაოებისათვის, რომლებიც მანქანა-ტრაქტორთა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურებმა შეასრულეს, უნდა იანგარიშონ მტკიცე განაკვეთებით, რომლებიც დაწესებულია მარცვლეული კულტურების სამუშაოთა ანაზღაურებისათვის. კოლმეურნეობებს ნება დაერთოთ აღნიშნულ სამუშაოთა შესრულებისათვის ნატურალური ანაზღაურების ანგარიშში მარცვლეულის ნაცვლად ჩააბარონ ხორცი და მატყლი შენაცვლების შესაბამისი ეკვივალენტებით.

რუსეთის სფსრ, ყაზახეთის სსრ, უზბეკეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, თურქმენეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოებს დაევალათ უზრუნველყონ 1956-1957 წლებში ზამთრის საძოვრებზე თივის სახელმწიფო სადაზღვევო ფონდის შექმნა საჭირო რაოდენობით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობათა სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო აღმასკომებსა და საოლქო აღმასკომებს მიიღონ საჭირო ღონისძიებანი მცირეპროდუქტიული [illegible] ნი მეცხვარეობის რაც შეიძლება სწრაფად გარდაქმნის [illegible] ნახევრადნაზმატყლიან მეცხვარეობად, სამამულო ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი ჯიშების ცხვრის სულადობის გადიდებისა და შემდგომი გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე იმ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, რომელსაც იძლევა საკრაველე და საქურქე მეცხვარეობა მისი გავრცელების რაიონებში. ამ მიზნით:

უზრუნველყონ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში 1956-1958 წლებში ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი ჯიშების ყოველწლიურად სულ ცოტა 100 ათასი ელიტური და პირველხარისხოვანი მწარმოებლის მოშენება და მათი მიყიდვა კოლმეურნეობებისათვის ფარის ჯიშობრივი შემადგენლობის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე საკრაველე, რომანოვული და სხვა მაღალპროდუქტიული უხეშმატყლიანი ჯიშების ცხვრის ელიტური და პირველხარისხოვანი მწარმოებლების გაზრდა საჭირო რაოდენობით;

მოაწყონ 1957-1959 წლებში ყაზახეთის სს რესპუბლიკაში, ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში, ციმბირში, ვოლგისპირეთში და სსრ კავშირის სხვა რაიონებში არსებული საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე მეცხვარეობის 20 ჯიშიანი საბჭოთა მეურნეობა მაღალპროდუქტიული ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი ჯიშების ცხვრის მოსაშენებლად.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ 1956 წელს უნდა მოაწყონ სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობებში 230 ათასი სული ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი დედაცხვრისა და აზმანის და 170 ათასი ჰედილას შესყიდვა სხვა მხარეების, ოლქებისა და რესპუბლიკების იმ კოლმეურნეობებისათვის მისაყიდად, რომლებსაც აქვთ ამ ცხვრების შენახვისა და მოშენების საჭირო პირობები, და შემდეგში ამ მიზნით ცხვრები შეისყიდონ სტავროპოლის მხარის, სხვა მხარეებისა და ოლქების კოლმეურნეობებში ყოველწლიურად 500-600 ათასი სულის რაოდენობით.

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დაინტერესება მატყლის წარმოების გადიდებით და სახელმწიფოსათვის ჩაბარებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დააწესა საშუალო დასამზადებელი ფასები ცხვრის ნორმალური ხარისხის გაურეცხავი მატყლისა, რომელსაც კოლმეურნეები და ინდივიდუალური ჩამბარებლები აბარებენ, შემდეგი ოდენობით: ერთ კილოგრამ ნაზ მატყლში (როცა წმინდა ბეწვის გამოსავლიანობა 36 პროცენტია) — 28 მანეთი, ნახევრად ნაზ მატყლში (როცა წმინდა ბეწვის გამოსავლიანობა 43 პროცენტია) — 23 მანეთი, ნახევრადუხეშ მატყლში (როცა წმინდა ბეწვის გამოსავლიანობა 53 პროცენტია) — 19 მანეთი და უხეშ მატყლში (როცა წმინდა ბეწვის გამოსავლიანობა 56 პროცენტია) — 15 მანეთი და 20 კაპიკი.

ცხვრის გაურეცხავი მატყლის შესასყიდი ფასი დაწესებულია ნაზი, ნახევრადნაზი, ნახევრადუხეში და უხეში მატყლის აღნიშნული დასამზადებელი ფასების ერთნახევარი ოდენობით.

წმინდა ჯიშის სათივთიკე თხის პირველი ნავარცხნი იმ თივთიკის დასამზადებელი ფასი, რომელსაც კოლმეურნეობები და ინდივიდუალური ჩამბარებლები აბარებენ, დაწესებულია 250 მანეთი კილოგრამში და მეორე ნავარცხნისა — 200 მანეთი კილოგრამში; დასამზადებელი ფასი თხის პირველ და მეორე ნავარცხნ თივთიკზე, რომლებიც მიღებულია შეჯვარებული და ანგორული უხეშმატყლიანი თხებისაგან, დაწესებულია სათივთიკე ჯიშების თხის თივთიკის ფასის 30 პროცენტით ნაკლები.

ცხვრის მატყლისა და თხის თივთიკის აღნიშნული ფასები შემოღებულია 1956 წლის 1 მაისიდან.

სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულების ანგარიშში კოლმეურნეობების მიერ პირველი და მეორე ხარისხის მატყლიანი და ნახევრადმატყლიანი ტყავების ჩაბარებისას იანგარიშება:

ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი ცხვრების თვითეულ მატყლიან ტყავში 1 კილოგრამი ნაზი ან ნახევრადნაზი მატყლი, ნახევრადუხეშმატყლიანი ცხვრის თვითეულ მატყლიან ტყავში — 0,5 კილოგრამი ნახევრადუხეში მატყლი;

ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი ცხვრების თვითეულ ნახევრადმატყლიან ტყავში — 0,7 კილოგრამი ნაზი ან ნახევრადნაზი მატყლი, ნახევრადუხეშმატყლიანი ცხვრის თვითეულ ნახევრადმატყლიან ტყავში — 0,3 კილოგრამი ნახევრადუხეში მატყლი.

1956 წლის 23 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით და ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების დარგში დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდებები:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა

1. **დოლიძეს** ოლღა იასონის ასულს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ესტრადის მსახიობს,
2. **კვანტალიანს** აკაკი ლუკას-ძეს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ესტრადისა და კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა:

1. **ბაგრატიონს** ირაკლი (ჯაანო) კონსტანტინეს-ძეს — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონსულტანტ-ქორეოგრაფს,
2. **გაბიჩვაძეს** რევაზ კონდრატის-ძეს — კომპოზიტორს,
3. **ყიფიანს** აპოლონ კონსტანტინეს-ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს,
4. **ხახანაშვილს** გიორგი სიმონის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელსა და დირექტორს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა:

1. **ბახტაძეს** თამარ ლევის ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს,
2. **გლეზერს** რახილ ხარიტონის ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კონცერტმეისტერს,
3. **გოჩალეიშვილს** აკაკი ვასილის-ძეს — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს,
4. **გუნბას** რაფდენ ჯიგოტანის-ძეს — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს,
5. **გუნიას** ნონა ვალერიანის ასულს — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მოცეკვავეს,
6. **ერქომაიშვილს** ანანია გიორგის-ძეს — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს,
7. **ვადაჭკორია-შილდელს** მერი გიორგის ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობ-სოლისტს,
8. **თღლეევს** გიორგი სარდიონის-ძეს — ქორეოგრაფს,
9. **თოდუაშვილს** მარგო ნიკოლოზის ასულს — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს,
10. **იმერლიშვილს** ელიაზარ ილიას-ძეს — საქართველოს სახელმწიფო კაპელის სოლისტს,
11. **ინოველ-ინაშვილს** ანტონ იოვის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ესტრადის მსახიობს,
12. **კეკელიას** ვლადიმერ სარდიონის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობ-სოლისტს,
13. **კობალაძეს** ფატმა მურადის ასულს — აჭარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს,
14. **კოვზირიძეს** შალვა ვარლამის-ძეს — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს,
15. **მაკუტაძეს** გიორგი სერგის ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს,
16. **მიქავას** ავქსენტი უტუს-ძეს — აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტს,
17. **ტატიშვილს** ივანე დიმიტრის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო კაპელის სოლისტს,
18. **ტყაბლაძეს** ლეონტი საბას-ძეს — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მსახიობს,
19. **ფხალაძეს** იოსებ ანტონის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო კაპელის სოლისტს,
20. **ფოცხვერაშვილს** ნათელა კონსტანტინეს ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობ-სოლისტს,
21. **შმუკლერს** მახეილ მარკის-ძეს — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მსახიობს,
22. **ჯაფარიძეს** ქეთო კონსტანტინეს ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობ-სოლისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. როსტიაშვილი.

ქ. თბილისი. 1956 წლის 21 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ანსამბლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

შესრულების მაღალმხატვრული ოსტატობისა და წარმატებითი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, რაც ხელს უწყობს ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებას, მიენიჭოს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს საქართველოს სსრ დამსახურებული ანსამბლის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ს. როსტიაშვილი.

ქ. თბილისი. 1956 წლის 21 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **აგაბეკოვა** ევგენია სამსონის ასული — კონცერტმეისტერი,
2. **არდაშვილი** ნინო ვასილის ასული — კონცერტმეისტერი,
3. **ბალისევიჩი** ლევან ივანეს-ძე — სახელმწიფო ანსამბლის მოცეკვავე,
4. **ბერძენიშვილი** ქეთევან გიორგის ასული — ანსამბლის მომღერალი,
5. **ბოგომოლოვა** ნინო ივანეს ასული — მოლარე-ინკასატორი,
6. **გვაზავა** ეთერ ალექსანდრეს ასული — მომღერალი,
7. **გოლუბევა** ნინო ვასილის ასული — მომღერალი,
8. **გოკიელი** ჯემალ ივანეს-ძე — სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი,
9. **გოძიაშვილი** მარგო ილიას ასული — მომღერალი,
10. **გოხაძე** სოფიო ალექსის ასული — მეგნილეთე-კონტროლიორი,
11. **დიდებულიძე** ბერტა ადოლფის ასული — მომღერალი,
12. **ვაშაკიძე** კარილე ალექსანდრეს-ძე — სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ორკესტრის ხელმძღვანელი,
13. **ზედგინიძე** ნინო ვიაჩესლავის ასული — სალაპარაკო ანრის მსახიობი,
14. **ზლოტოლინსკაია** მარიამ ნიკოლოზის ასული — მუსიკალური ნაწილის გამგე,
15. **ირემაშვილი** მარიამ იოსების ასული — ანსამბლის მომღერალი,
16. **კიკნაძე** ლუარსაბ ილიას-ძე — სცენის მუშა,
17. **კირილოვი** გერმანე მიხეილის-ძე — სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მსახიობი,
18. **კუხალეიშვილი** ნიკოლოზ ფარნაოზის-ძე — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის აჭარის განყოფილების დირექტორი,
19. **ლივარდი** თამარ ალექსანდრეს ასული — სალაპარაკო ანრის მსახიობი,
20. **მაისურაძე** თამარ ანდრიას ასული — სალაპარაკო ანრის მსახიობი,
21. **მახარაძე** ტატიანა ხარიტონის ასული — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, ესტრადის მსახიობი,
22. **მარღანია** ასტამურ ნიკოლოზის-ძე — აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორი,
23. **მინდიაშვილი** ვლადიმერ პავლეს-ძე — ესტრადის მსახიობი საკარავი ინსტრუმენტების ინტონაციის დარგში,
24. **მირცხულავა** სულიკო ალექსანდრეს ასული — ანსამბლის მომღერალი,
25. **მოცაკიანი** გურგენ არუთინის-ძე — სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მსახიობი,
26. **მიქელაძე** მიხეილ ალექსანდრეს-ძე — საქართველოს სახელმწიფო კაპელის მსახიობი,
27. **პაპიტაშვილი** ოთარ დავითის-ძე — სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მსახიობი,
28. **პონომარევი** კონსტანტინე დავითის-ძე — საქართველოს სახელმწიფო კაპელის მსახიობი,
29. **ჟელიაევი** ანდრია ვასილის-ძე — ექსპედიტორი,
30. **რამიშვილი** ალექსანდრე ფილიპეს-ძე — სალაპარაკო ანრის მსახიობი,
31. **საატაზოვა** ნინო ალექსანდრეს ასული — რეჟიზორული კონცერტების მოწყობის საქმეში,
32. **საგანელიძე** გედეონ როსტომის-ძე — სცენის მუშა,
33. **სარაჯიშვილი** ივთანდილ ალექსანდრეს-ძე — სახელმწიფო ანსამბლის მომღერალი,
34. **სარჯველაძე** დავით გაბრიელის-ძე — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ქუთაისის განყოფილების დირექტორი,
35. **სიდოროვი-ვორონინი** ნიკოლოზ მიხეილის-ძე — ესტრადის მსახიობი ორიგინალური ანრის დარგში,
36. **სიხარულიძე** გარსევან ანდრიას-ძე — სახელმწიფო ანსამბლის მომღერალი,
37. **ტატიშვილი** ნინო ლეონიდეს ასული — სალაპარაკო ანრის მსახიობი,
38. **ტატეიშვილი** თინა გრიგოლის ასული — სახელმწიფო ანსამბლის მომღერალი,
39. **ტროიანი** ალექსანდრა ივანეს ასული — უფროსი მეგნილეთე-კონტროლიორი,
40. **ურუშაძე** ნიკოლოზ ირაკლის-ძე — მომღერალი,
41. **ფედოროვა** ევგენია პავლეს ასული — ესტრადის მსახიობი ორიგინალური ანრის დარგში,
42. **ფოცხვერაშვილი** ვალერიან ილარიონის-ძე — სახელმწიფო ანსამბლის მომღერალი,
43. **ღვაბერიძე** ნ

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების შესახებ მეხუთე ხუთწლედის წლებში (1951-1955 წლები)

ერთიანი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგად მიღწეულია შემდგომი წარმატებანი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში.

რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის ცალკეულ დარგებში მნიშვნელოვნად გადაჭარბებულია განვითარების დონე, რომელიც მიღწეული იყო წინა მეოთხე ხუთწლედში. ხუთწლედის განმავლობაში სისტემატურად მთლიანად და გადაჭარბებით სრულდებოდა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის წლიური გეგმები, დიდდებოდა სახელმწიფო კაპიტალდაბანდებანი სახალხო მეურნეობაში, ხორციელდებოდა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება, გრძელდებოდა საქონელბრუნვის ზრდა; წლითიწლობით ძაღლდებოდა რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებისა და კულტურის დონე.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარება, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურული დონის ზრდა შემდეგნაირად ხასიათდება:

I. მრეწველობის დარგში

1. მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება 1955 წელს 1950 წელთან შედარებით 71 პროცენტით გადიდდა. პროდუქციის მატების საშუალო წლიური ტემპი 1951-1955 წლებში 11,3 პროცენტს შეადგენს.

ხუთწლედში მრეწველობა სისტემატურად ასრულებდა საერთო პროდუქციის წლიურ გეგმებს: 1951 წლის გეგმა შესრულდა 108 პროცენტით, 1952 წლისა — 101 პროცენტით, 1953 წლისა — 101 პროცენტით, 1954 წლისა — 102 პროცენტით და 1955 წლისა — 105 პროცენტით.

სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა რესპუბლიკაში მძიმე მრეწველობა, როგორც მთელი სახალხო მეურნეობის აღმავლობისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლების საფუძველი.

საქართველოს სსრ სამრეწველო სამინისტროებისა და სარეწაო კოოპერაციის ხაზით საერთო პროდუქცია 1955 წელს 1950 წელთან შედარებით 68 პროცენტით გადიდდა.

საქართველოს სსრ ცალკეული სამინისტროების ხაზით მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდა ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	საერთო პროდუქცია 1955 წელს პროცენტობით 1950 წელთან შედარებით
სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო	163
ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრო	192
საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო	191
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	149
სატყეო მრეწველობის სამინისტრო	167
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	195
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	211
საქართველოს სარეწაო საბჭო	172

2. რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გადიდდა მეტალურგიული, ენერგეტიკული, სათბობის, მანქანათმშენებელი, ქიმიური, სატყეო მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოება.

სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა მოცულობამ მრეწველობაში 1951-1955 წლებში დაახლოებით 1,7-ჯერ გადააჭარბა 1946-1950 წლების კაპიტალდაბანდებათა მოცულობას.

მეხუთე ხუთწლედის წლებში აშენდა და ამუშავდა 100-ზე მეტი ახალი მსხვილი სამრეწველო საწარმო.

ამაღლდა სამრეწველო წარმოების ტექნიკური დონე: მთელ რიგ საწარმოებში გაიზარდა საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია, ამაღლდა მძიმე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონე, ინერგებოდა ახალი, დიდი წარმადობის მანქანები და მოწინავე ტექნოლოგიური პროცესები. მაგრამ ტექნიკური პროგრესის ტემპები საკმაო არ არის. კიდევ არის დიდი ნაკლოვანებანი ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეში.

რესპუბლიკაში ქვანახშირის მრეწველობის განვითარება და ელექტროსადგურების მშენებლობა ჩამორჩებოდა სათბობსა და ელექტროენერგიაზე მეურნეობის მოთხოვნილების ზრდას. მრეწველობა საკმაოდ ვერ აკმაყოფილებდა მშენებლობის მოთხოვნილებას ცემენტზე, ასაწყობ რკინაბეტონის კონსტრუქციებსა და დეტალებზე, აგრეთვე საკედლე და სახურავ მასალებზე.

3. ძირითადად დამთავრდა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობა. ხუთწლედის მანძილზე ქარხანაში ამუშავდა: კოქსქიმიური საამქრო, სააგლომერაციო ფაბრიკა, 2 ბრძმედი, 4 მარტენის ღუმელი, მილნამზადის, მილსაგლინავი და წვრილსორტული საამქროები, აგრეთვე დამთავრდა ფურცელსაგლინავი საამქროს მშენებლობა. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ამუშავდა ახალი საწარმოო სიმძლავრეები.

1955 წელს 1950 წელთან შედარებით სასაქონლო მარგანეცის მადნის გამოშვება გადიდდა 61 პროცენტით, ფეროშენადნობთა წარმოება — 26 პროცენტით, ფოლადის გამოდნობა — 7,5-ჯერ. მეხუთე ხუთწლედში დაიწყო და ფართოვდებოდა კოქსის, თუჯის, მთლიანნაგლინი მილებისა და სორტული ნაგლინის წარმოება.

ამაღლდა მძიმე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონე ჭიათურის მარგანეცის ტრესტს მაღაროებში. მაგრამ იყო ჩამორჩენა ზოგიერთ სამუშაოთა, კერძოდ, მადნის დატვირთვის მექანიზაციაში. ორგანიზაციული უწესივრობის შედეგად მარგანეცის მადნის საწარმოებში მთლიანად ვერ იყენებდნენ ელმავლებს, დასატვირთავ მანქანებს, სკრეპერებსა და სხვა მექანიზმებს.

ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში ათვისებულია კოქსის წარმოება ადგილობრივი ქვანახშირის კონცენტრატებიდან, ახალი მარკების ფოლადის გამოდნობა, თხელკედლიანი მილებისა და წვრილსორტული ნაგლინის გამოშვება. ამასთან ერთად მთლიანად ვერ იყენებდნენ მეტალურგიულ მოწყობილობას: 1955 წელს ბრძმედების მარგი მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი შეადგენდა, 1,005-ს, გეგმით კი გათვალისწინებული იყო 0,920, დიდია მარტენის ღუმელებისა და საგლინავი დგანების მოცდენა. ფოლადის აღება მარტენის ღუმელების 1 კვადრატულ მეტრ ქვედზე მნიშვნელოვნად გადიდდა 1950 წელთან შედარებით, მაგრამ 1955 წლისათვის დაწესებული საგეგმო დავალება ქარხანას არ შეუსრულებია. საკმაოდ არ წარმოებდა მადნების გაშუალედება, დანერგილი არ ყოფილა გამდნობადებული აგლომერატის წარმოება, ჟანგბადს არ იყენებენ მეტალურგიული პროცესების ინტენსიფიკაციისათვის.

4. გადიდდა ფერადი ლითონების კონცენტრატების გამოშვება. 1955 წელს 1950 წელთან შედარებით ტყვიის კონცენტრატის წარმოება გადიდდა 2,7-ჯერ. გადაჭარბებულია კვაისის შახტსამმართველოს გამამდიდრებელი ფაბრიკის დაპროექტებული სიმძლავრე. ამასთან ერთად კონცენტრატში თუთიის შემცველობისა და მადნიდან თუთიის გამოღების 1955 წლის საგეგმო დავალებანი მთლიანად ვერ შესრულდა.

5. რესპუბლიკაში ელექტროენერგია 1955 წელს გამომუშავებულია 60 პროცენტით მეტი, ვიდრე 1950 წელს. ხუთწლედში ამუშავდნენ სამგორის ჰიდროელექტროსადგური, შაორის ჰიდროელექტროსადგური და სხვა ელექტროსადგურები. აგებულია ელექტროგადაცემის ხაზი, რომელიც აერთებს საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემებს. დამთავრდა აგრეგატების მართვის ავტომატიზაცია რაიონულ ელექტროსადგურებში.

დაიწყო ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგურის, ხრამის № 2 ჰიდროელექტროსადგურის, გუმათის № 1 ჰიდროელექტროსადგურის, ტყიბულის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. შენდებოდა გუმათის № 2 ჰიდროელექტროსადგური და ბეჟიჟის ჰიდროელექტროსადგური, რომლებმაც 1956 წელს სამრეწველო დენი მოგვცეს. წარმოებს ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურისა და ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალის გაფართოების სამუშაოები. მიუხედავად ამისა, ელექტროსადგურების მშენებლობის ტემპები მეხუთე ხუთწლედში მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების ზრდას, რის გამო რესპუბლიკაში იგრძნობოდა ელექტროენერგიის ნაკლებობა.

6. ქვანახშირის ამოღება 1955 წელს 1950 წელთან შედარებით 57 პროცენტით გადიდდა. ხუთწლედში ამუშავდა 3 ახალი შახტი და ტყიბულის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა. ამასთან ერთად ნელა წარმოებდა მოქმედი შახტების დაპროექტებული სიმძლავრის ათვისება, საკმაოდ არ ინერგებოდა ქვანახშირის საბადოების დამუშავების ახალი, უფრო ეფექტიანი სისტემები.

ტყიბულისა და ტყვარჩელის გამამდიდრებელ ფაბრიკებში ათვისებულია ქვანახშირის კონცენტრატების წარმოება დაკოქსვისათვის.

წარმოებდა გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები ახლად აღმოჩენილ შაორის ქვანახშირის საბადოში.

7. გამქვირვალე ნავთობპროდუქტების წარმოება ხუთწლედში გადიდდა 47 პროცენტით, აქედან ბენზინისა — 12 პროცენტით და დიზელის სათბობისა — 6,6-ჯერ. საცხები ზეთების გამომუშავება გადიდდა 28 პროცენტით. ათვისებულია ახალი მარკების ნავთობპროდუქტების წარმოება.

8. მეხუთე ხუთწლედის მანძილზე სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა მანქანათმშენებელი მრეწველობა. მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქციის გამოშვება 1955 წელს 86 პროცენტით გადიდდა 1950 წელთან შედარებით. ლითონსაჭრელი ჩარხების წარმოება ხუთწლედში 57 პროცენტით გადიდდა.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანამ აითვისა სატვირთო ავტომობილების სერიული წარმოება. ათვისებულია ახალი მარკების სპეციალური ლითონსაჭრელი ჩარხების წარმოება. მოგვარებულია ექსკავატორების, სამსხმელო ამწეების მანქანების, აგრეთვე მთელი რიგი სხვა მანქანებისა და მექანიზმების გამოშვება სახალხო მეურნეობისათვის.

ნელა ხორციელდებოდა ახალი ტიპების დიდი წარმადობის ლითონსაჭრელი ჩარხების, კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მოწყობილობის კონსტრუქციათა შემუშავება და ათვისება. გაჯიანურდა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მექანიზებულად საკრეფი მანქანის შექმნა.

9. რესპუბლიკაში ვითარდებოდა ქიმიური მრეწველობა. 1955 წელს ნაწილობრივ ამუშავდა რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა. პირველად დაიწყო აზოტოვანი სასუქების წარმოება. ლიტოპონის გამოშვება 1955 წელს 1950 წელთან შედარებით 73 პროცენტით გადიდდა, ხოლო პლასტმასის ნაწარმისა — 4-ჯერ.

10. სამასალე მერქნის გამოზიდვა ხუთწლედში 19 პროცენტით გადიდდა. ამაღლდა ხე-ტყის დამზადების ოპერაციების მექანიზაციის დონე, მაგრამ მათი მექანიზაცია საკმაოდ ვერ ხორციელდებოდა.

1955 წელს ქაღალდის წარმოება 52 პროცენტით გადიდდა 1950 წელთან შედარებით. ცალფა ფანერისა — 2,1-ჯერ, დაწებებული ფანერისა — 17 პროცენტით.

ავეჯის წარმოება ხუთწლედში 2,6-ჯერ გადიდდა.

ძირითადად ამუშავდა თბილისის ავეჯის კომბინატი. წარმოების მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, ავეჯის ხარისხი და გამოყვანა ჩამორჩებოდა მომხმარებელთა მოთხოვნებს. ნელა ვითარდებოდა გრეხილი ავეჯის წარმოება. გაზრდილ მოთხოვნილებას ჩამორჩებოდა აგრეთვე საბავშვო ავეჯის წარმოება.

11. 1951-1955 წლებში რესპუბლიკაში გადიდდა საშენ მასალათა წარმოება. ამუშავდა მეტეხის მშრალი წნეხვის აგურის ქარხანა. კერამიკულ კომბინატში სანიტარული ფაიფურის ათვისება და სხვა სახეობათა კერამიკული ნაწარმის გამოშვება დამაკმაყოფილებლად ვერ მიმდინარეობს. ცემენტის წარმოება ხუთწლედის მანძილზე გადიდდა 47 პროცენტით, აგურისა — 80 პროცენტით, შიფერისა — 45 პროცენტით, კრამიტისა — 28 პროცენტით, მარმარილოს ნაწარმისა — 3,2-ჯერ.

1955 წელს გამოშვებულია ასეულ ათასობით ტონა ცემენტი, 257 მილიონი ცალი აგური, 30,5 მილიონი პირობითი ფილა შიფერი. გადიდდა ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოება. მაგრამ სამშენებლო კონსტრუქციების, გასაწყობი, მოსაპირკეთებელი და სახურავი მასალების, კერამიკის, თაბაშირის, ბეტონისა და რკინაბეტონის დეტალების სამრეწველო წარმოება ჯერ კიდევ ჩამორჩება მშენებლობის მოთხოვნილებებს.

12. ხუთწლედში გადიდდა მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის გამოშვება. ამუშავდა გორის ბამბეულის კომბინატის პირველი რიგი, გაფართოვდა თბილისის აბრეშუმსაქსოი ფაბრიკა და თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატი, აგრეთვე ზოგიერთი სხვა საწარმო. რესპუბლიკის საფეიქრო საწარმოებში გადიდდა ახალი, დიდი წარმადობის მოწყობილობის პარკი; მაგრამ ჯერ კიდევ არის მოძველებული მანქანები, რომლებიც მოდერნიზებულ უნდა იქნას ან შეიცვალოს.

1955 წელს მსუბუქი მრეწველობის ძირითადი ნაკეთობის წარმოება გადიდდა: ბამბის ქსოვილებისა — 26,5 მილიონ მეტრამდე ანუ თითქმის 5-ჯერ მეტად, ვიდრე 1950 წელს, აბრეშუმის ქსოვილებისა — 17,7 მილიონ მეტრამდე ანუ — 2,4-ჯერ, შალის ქსოვილებისა — 4,3 მილიონ მეტრამდე ანუ 64 პროცენტით მეტად, ვიდრე 1950 წელს, ფეხსაცმლისა — 7,9 მილიონ წყვილამდე ანუ 10 პროცენტით, აბრეშუმის „კაპრონის“ წინდებისა — 1,2 მილიონ წყვილამდე ანუ ერთიორად და უფრო მეტად, ვიდრე 1950 წელს.

მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ხარისხი რამდენადმე გაუმჯობესდა, მაგრამ ჯერ კიდევ არის ფაქტები, რომ საწარმოები უმვეგენ არადამაკმაყოფილებელი ხარისხის და ცუდად გამოყვანილ საქონელს ისეთი ასორტიმენტით, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს.

13. წარმატებით ვითარდებოდა რესპუბლიკის კვების მრეწველობა.

ძირითად სახეობათა კვების პროდუქტების წარმოება (კოლმეურნეობათა წარმოების გამოკლებით) მეხუთე ხუთწლედში გადიდდა: შაქრის ფხვნილისა — 14,5 ათას ტონამდე ანუ 18 პროცენტით მეტად, ვიდრე 1950 წელს, პირველადი დამუშავების ჩაისა — 37 ათას ტონამდე ანუ 46 პროცენტით, ყურძნის ღვინისა — 2,7 მილიონ დეკალიტრამდე ანუ 77 პროცენტით, შაძაბნურისა — 5,1 მილიონ ბოთლამდე ანუ 46 პროცენტით, კონიაკებისა — 251 ათას დეკალიტრამდე ანუ 3,4-ჯერ მეტად, ვიდრე 1950 წელს, მაკარონის წარმოება 1950 წელთან შედარებით გადიდდა 73 პროცენტით, კონსერვებისა — 51, ხორცისა —,56, ყველისა — 88, მცენარეული ზეთისა — 50 პროცენტით და მინერალური წყლებისა — 93 პროცენტით.

გასულ ხუთ წელიწადში აშენდა კვების მრეწველობის ბევრი საწარმო. ჩაის რაიონებში აშენდა ჩაის პირველადი გადამუშავების 17 ფაბრიკა, მევენახეობის რაიონებში — 18 ღვინის ქარხანა, ქალაქ თბილისში ამუშავდა კონიაკის ქარხანა, რომლის სიმძლავრეა 200 ათასი დეკალიტრი კონიაკი წელიწადში, რძის კომბინატი და სხვა საწარმოები.

ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში მიმდინარეობდა პურის ქარხნების, რძის ქარხნების, ხორცკომბინატების, ლუდის ქარხნების, მაცივრებისა და კვების მრეწველობის სხვა საწარმოთა მშენებლობა.

ამასთანავე რესპუბლიკაში იგრძნობა მეღვინეობის მრეწველობის ტექნიკური ბაზის ნაკლებობა. არსებული საწარმოები ვერ უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ზზარდი რაოდენობის გადამუშავებას.

გაფართოვდა კვების პროდუქციის ასორტიმენტი, გაუმჯობესდა ხარისხი, გადიდდა დაფასოებული საქონლის გამოშვება. მაგრამ წარმოება ზოგიერთი სახეობის კვების პროდუქტებისა, რომლებზეც მოსახლეობის უფრო დიდი მოთხოვნილებაა, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი.

დამაკმაყოფილებლად არ ვითარდებოდა თევზის მრეწველობა, რომელიც ხუთწლედის მანძილზე ვერ ასრულებდა წლიურ გეგმებს.

14. 1955 წელს ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებმა 1950 წელთან შედარებით 85 პროცენტით გაადიდეს საერთო პროდუქციის გამოშვება. ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში გადიდდა სამეზველო და საფეიქრო მოწყობილობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ინვენტარის, აგურის, კრამიტის, კირისა და სხვა საშენ მასალათა წარმოება. ათვისებულია მომინანქრებული ჭურჭლის, უფანგავი ფოლადის დანა-ჩანგლისა და კოვზების და მთელ რიგ სხვა ნაკეთობათა წარმოება.

ხუთწლედის მანძილზე ადგილობრივ მრეწველობასა და სარეწაო კოოპერაციაში პიანინოებისა და როიალების წარმოება გადიდდა 86 პროცენტით, ლითონის საწოლებისა—2,7-ჯერ, ნავთქურებისა — 2,4-ჯერ, სასარაჯოსაუნაგირე ნაწარმისა — 84 პროცენტით.

ფართო მოხმარების იმ საქონლის ხარისხი და ასორტიმენტი, რომელსაც ადგილობრივი მრეწველობა და სარეწაო კოოპერაცია აწარმოებენ, ჩამორჩება მოსახლეობის მოთხოვნილებებს; ნაკლები ყურადღება ექცევა ნაწარმის გამოყვანას.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოსახურების სახელოსნოების ქსელი სრულიად არასაკმარისად არის გაშლილი. საყოფაცხოვრებო რემონტის ხარისხი კვლავ დაბალია.

15. მთლიანად მრეწველობის მუშათა შრომის ნაყოფიერება ხუთწლედში 29 პროცენტით გადიდდა. ამასთანავე შრომის ნაყოფიერების მიღწეული დონე კვლავ არასაკმარისია იმის გამო, რომ სამინისტროები, უწყებები და საწარმოები დამაკმაყოფილებლად ვერ მუშაობენ ახალი ტექნიკის დასანერგავად და წარმოების ორგანიზაციის სერიოზული ნაკლოვანებები აქვს.

ხუთწლედის მანძილზე შემცირდა სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება. მთელი რიგი წლების განმავლობაში თვითღირებულების შემცირების წლიურ დავალებებს ვერ ასრულებდნენ საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოები.

16. ფართოდ განვითარდა სამშენებლო ინდუსტრია. ხორციელდებოდა სამშენებლო ორგანიზაციების გამსხვილება.

ამასთან ბევრმა სამინისტრომ და სამშენებლო ორგანიზაციამ ვერ შეასრულეს კაპიტალური მშენებლობის სახელმწიფო გეგმები და დაარღვია ახალ საწარმოთა, საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მწყობრში ჩაყენების დაწესებული ვადები. შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის ხანგრძლივობა ჯერ კიდევ დიდია.

II. სოფლის მეურნეობის დარგში

მეხუთე ხუთწლედის მანძილზე საქართველოს სს რესპუბლიკაში განხორციელდა სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება.

1. ნათესი ფართობები გადიდდა 38 ათასი ჰექტარით. თამბაქოს ფართობი გადიდდა 1,7 ათასი ჰექტარით, კარტოფილისა — 6,5 ათასი ჰექტარით, ბოსტნეულისა — 4,3 ათასი ჰექტარით და საკვები კულტურებისა — თითქმის ერთიორად.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების საერთო მოსავალი 1955 წელს 1950 წელთან შედარებით გადიდდა: თამბაქოსი — 19 პროცენტით, მზესუმზირასი — 53 პროცენტით, შაქრის ჭარხლისა — 19 პროცენტით, კარტოფილისა — 57 პროცენტით, ბოსტნეულისა — 1,9-ჯერ.

მეხუთე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაფართოვდა აგროტექნიკის მოწინავე ხერხები. რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მარცვლეული კულტურების თესვა ძირითადად ჯიშიანი თესლით სწარმოებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ხუთწლედის განმავლობაში მარცვლეულის საერთო პროდუქცია რამდენადმე გაიზარდა, მარცვლეული კულტურების წარმოების ნაკლია ჯერ კიდევ მცირე მოსავლიანობა და მარცვლის მნიშვნელოვანი დანაკარგები მოსავლის აღების დროს.

დიდი ყურადღება ექცეოდა მრავალწლიანი ნარგავების — ვენახების, ხეხილის ბაღების, ჩაის, ციტრუსოვანთა პლანტაციებისა და სხვა კულტურების ფართობების შემდგომ გადიდებას.

უკეთესი მოვლისა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად გადიდდა ამ ძვირფასი კულტურების საერთო მოსავალი და მოსავლიანობა.

საშუალო წლიური ფაქტიური მოსავალი კოლმეურნეობებში მეხუთე ხუთწლედის მანძილზე წინა ხუთწლედთან შედარებით გადიდდა ყურძნისა — 37 პროცენტით, ჩაისა — ერთიორად.

2. 1955 წელს 1950 წელთან შედარებით გადიდდა მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება: ხორცისა — 69 პროცენტით, რძისა — 35 პროცენტით, კვერცხისა — 60 პროცენტით.

ერთი ძროხის საშუალო წველადობა კოლმეურნეობებში გადიდდა 68 პროცენტით. რძის წარმოების არსებითი ნაკლია მერძეული პირუტყვის ჯერ კიდევ დაბალი პროდუქტიულობა.

აღწერის მონაცემებით ძროხის სულადობამ რესპუბლიკაში 1955 წლის 1 ოქტომბრისათვის შეადგინა 489,5 ათასი სული და 14 პროცენტით გადიდდა 1950 წლის დამლევის სულადობასთან შედარებით, ღორის სულადობამ შეადგინა 792,9 ათასი სული და გადიდდა 59 პროცენტით. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაუმჯობესდა ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობა.

უკანასკნელ წლებში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის. სასილოსე და აგრეთვე მწკანე საკვებად სიმინდის ნათესები 1955 წელს 1950 წელთან შედარებით ერთისამად გადიდდა. 1955 წელს გაცილებით უფრო ფართოდ ითესებოდა სიმინდი ნაწვერალზე.

3. მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდის შედეგად გადიდდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება და შესყიდვა. სახელმწიფო დამზადება და შესყიდვა 1955 წელს 1950 წელთან შედარებით გადიდდა: მარცვლეულისა — 27 პროცენტით, მზესუმზირასი — 24 პროცენტით, თამბაქოსი — 20 პროცენტით, შაქრის ჭარხლისა — 24 პროცენტით, კარტოფილისა — 11 პროცენტით, ბოსტნეულისა — 30 პროცენტით, ყურძნისა — ერთიორად, ტუნგოსი — 3,7-ჯერ, პირუტყვისა — ერთიორად, რძისა — 55 პროცენტით, კვერცხისა — 3,7-ჯერ.

გადიდდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის საქონლიანობა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის ფასების გადიდებამ უკანასკნელ წლებში გაზარდა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი. 1955 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსათვის ჩაბარებულ და მოყიდულ პროდუქციაში მიიღეს 517 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე 1950 წელს.

4. მეხუთე ხუთწლედში ამაღლდა სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის დონე. ტრაქტორების პარკი (15-ძალიანზე გადაყვანით) 1955 წელს 1950 წელთან შედარებით 1,4-ჯერ გადიდდა. მარცვლეულის კომბაინების რაოდენობა სოფლის მეურნეობაში ხუთწლედის ბოლოსათვის გადიდდა 1,8-ჯერ, სატვირთო ავტომობილებისა — 1,9-ჯერ, ტრაქტორის სათესი მანქანებისა და ტრაქტორის კულტივატორებისა — ერთიორად.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ კოლმეურნეობებში შესრულებულ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მოცულობა ხუთწლედის მანძილზე ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა. 1955 წელს თითქმის მთლიანად მექანიზებული იყო მზრალად ხვნა, მზესუმზირას და შაქრის ჭარხლის თესვა; თავთავიანი კულტურების მოსავლის კომბაინებით აღებამ 72 პროცენტი შეადგინა. საკმაოდ მექანიზებული არ არის კარტოფილის, ბოსტნეულის თესვისა და მოსავლის აღების სამუშაოები, თივის თიბვა და ზოგიერთი სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ჯერ კიდევ არ არის მექანიზებული სიმინდის მოსავლის აღების სამუშაოები.

ტრაქტორების დღიური გამომუშავება მტს-ებში გადიდდა 27 პროცენტით, კომბაინებისა — 6 პროცენტით; მაგრამ ტრაქტორებისა და კომბაინების არსებული პარკი მთლიანად ვერ არის გამოყენებული. კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში სუსტად ინერგებოდა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, გარდა ცხვრის ელექტროაგრეგატებით პარსვისა.

მეხუთე ხუთწლედში გრძელდებოდა სამუშაოები კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ელექტროფიკაციის დარგში. ელექტროენერგიის მოხმარება სოფლის მეურნეობაში ხუთწლედის მანძილზე ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა. 1955 წლის ბოლოსათვის ელექტროფიცირებული იყო მანქანა-ტრაქტორთა სადგურების 98 პროცენტი, საბჭოთა მეურნეობების 82 პროცენტი და კოლმეურნეობათა 36 პროცენტი.

5. ყოველწლიურად დიდდება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა რიცხვი, რომლებიც მომსახურებას უწევენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას. 1955 წელს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და კოლმეურნეობებში მუშაობდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 5,2 ათასი აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ვეტერინარი მუშაკი და მეტყევე. 1955 წელს 53 პროცენტს შეადგენდა რიცხვი კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებისა, რომლებსაც უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება აქვთ.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობაში მომუშავე ერთი შრომისუნარიანი კოლმეურნის შრომადღეების საშუალო გამომუშავება 1951-1955 წლებში 11 პროცენტით გადიდდა. მაგრამ მთელ რიგ კოლმეურნეობებში შრომისუნარიან კოლმეურნეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ჯერ კიდევ ვერ ასრულებს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმს, რომელიც დაწესებულია კოლმეურნეობების მიერ.

კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი, აგრეთვე განუყოფელი ფონდები ხუთწლედში 35 პროცენტით გადიდდა.

6. ხუთწლედში საბჭოთა მეურნეობების ნათესი ფართობები ერთიორად გადიდდა. საბჭოთა მეურნეობებმა 1955 წელს 1950 წელთან შედარებით სახელმწიფოს ჩაბარეს ხორცი 2,7-ჯერ მეტი, რძე — 4,6-ჯერ მეტი. ბევრად გადიდდა კვერცხის რაოდენობა, რომელიც საბჭოთა მეურნეობებმა ჩაბარეს სახელმწიფოს. ერთი ძროხის საშუალო წველადობა გადიდდა 95 პროცენტით, ერთი ცხვრის მატყლის საშუალო ნაპარსი — 44 პროცენტით.

გაიზარდა საბჭოთა მეურნეობების ტექნიკური აღჭურვილობა. ტრაქტორების პარკის სიმძლავრე გადიდდა 40 პროცენტით, ხოლო სატვირთო ავტომანქანების რიცხვი — 17 პროცენტით.

7. რესპუბლიკაში ყოველწლიურად მიმდინარეობდა წყალთა მეურნეობის მშენებლობის სამუშაოები. კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში სარწყავი ქსელით უზრუნველყოფილი მიწების ფართობი ხუთწლედში 8 პროცენტით გადიდდა, ამ მიწების გამოყენებული ფართობი — 10 პროცენტით. ამოშრობილი მიწების ფართობი 73 პროცენტით გადიდდა.

8. სოფლის მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა მეხუთე ხუთწლედში მეოთხე ხუთწლედთან შედარებით 1,8-ჯერ გადიდდა.

III. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში

1. მეხუთე ხუთწლედის წლებში რკინიგზის ტვირთბრუნვა გადიდდა თითქმის 70 პროცენტით. გაწეულია დიდი მუშაობა რკინიგზების ელექტროფიკაციის დარგში. ხუთ წელიწადში ელექტროფიცირებულ იქნა 300 კილომეტრამდე ლიანდაგი.

2. ხუთ წელიწადში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სატვირთო ავტოტრანსპორტის გამოყენება რესპუბლიკის ყველა სამინისტროსა და უწყებაში. მაგრამ სატვირთო ავტოპარკის გამოყენებაში სერიოზული ნაკლოვანებებია. დაბალია გარბენის გამოყენების კოეფიციენტი; ფუჭი გარბენა 49 პროცენტს შეადგენს.

მნიშვნელოვნად განვითარდა საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტი: მისი ტვირთბრუნვა ხუთ წელიწადში გადიდდა და 1955 წელს შეადგენდა რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის საერთო ტვირთბრუნვის 17 პროცენტს.

რამდენადმე გაუმჯობესდა საერთო სარგებლობის ავტომობილთა პარკის გამოყენება.

მეხუთე ხუთწლედის წლებში მოეწყო ცენტრალიზებული ტვირთზიდვა, რასაც ახორციელებს საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტი. მაგრამ ამ ტვირთზიდვის ოდენობა საკმაო არ არის. ცენტრალიზებული ტვირთზიდვის

(დასასრული მე-3 გვერდზე)

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების შესახებ მეხუთე ხუთწლედის წლებში (1951-1955 წლები)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

(დასასრული)

წესით ტვირთბრუნვა 1955 წელს შეადგენდა საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტის მთელი ტვირთბრუნვის მხოლოდ 12 პროცენტს.

ავტოტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა 6-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა.

მაგარსაფარიანი საავტომობილო გზები ხუთ წელიწადში 500 კილომეტრით გადიდდა.

3. გრძელდებოდა კავშირგაბმულობის საშუალებათა შემდგომი განვითარება. ტელეფონის აპარატების საერთო რაოდენობა ხუთ წელიწადში ქალაქებში გადიდდა 25 პროცენტით, ხოლო სოფელ ადგილებში — 1,5-ჯერ. 1955 წლის ბოლოსათვის ტელეფონიზებული იყო მტს-ების 98 პროცენტი, საბჭოთა მეურნეობების 83 პროცენტი, კოლმეურნეობების 63 პროცენტი და თითქმის ყველა სასოფლო საბჭო.

რადიომიმღები წერტილების რაოდენობა ხუთ წელიწადში გადიდდა ერთიორად და უფრო მეტად, აქედან სოფელ ადგილებში — 3-ჯერ და უფრო მეტად.

4. კაპიტალური დაბანდებანი ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში მეხუთე ხუთწლედში მეოთხე ხუთწლედთან შედარებით 1,5-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა.

IV. ხალხის მატერიალური კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურული დონის შემდგომი ზრდის დარგში

1. გასულ ხუთ წელიწადში მიღწეულ იქნა შემდგომი წარმატებანი მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და მათი კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში 17 პროცენტით გადიდდა.

რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხარჯები მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე. ხარჯები სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე მეხუთე ხუთწლედში მეოთხე ხუთწლედთან შედარებით გადიდდა 15 პროცენტით, აქედან განათლებაზე — 11 პროცენტით, ჯანმრთელობის დაცვასა და ფიზკულტურაზე — 17 პროცენტით.

2. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა ხუთი წლის მანძილზე შესადარ ფასებში 73 პროცენტით გადიდდა. საქონელბრუნვა სამომხმარებლო კოოპერაციისა, რომელიც ახორციელებს ვაჭრობას სოფლად, 85 პროცენტით გადიდდა.

საქონელბრუნვის წლიური გეგმები მეხუთე ხუთწლედის წლებში მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია გადაჭარბებით. გადიდდა მოსახლეობისათვის სახალხო მოხმარების საქონლის მიყიდვა. 1955 წელს 1950 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა ისეთი სასურსათო საქონლის გაყიდვა როგორიც არის ხორცი და ფრინველი, ძეხვეული, ხორცის კონსერვები, თევზი, თევზის კონსერვები, ერბო-კარაქი, მცენარეული ზეთი, შაქარი. გადიდდა აგრეთვე ძირითადი სამრეწველო საქონლის — ტანსაცმლისა და საცვლების, ტრიკოტაჟის ნაწარმის, ბამბის ქსოვილების, აბრეშუმის ქსოვილების, ტყავის ფეხსაცმლის, ავეჯის, ლითონის ჭურჭლის გაყიდვა.

ყველაზე მნიშვნელოვნად გადიდდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის — რადიომიმღებების, საათების ფოტოაპარატების, საკერავი მანქანების, სარეცხი მანქანების, მტვერსასრუტების, მაცივრების, ველოსიპედების, მოტოციკლების, მსუბუქი ავტომობილების გაყიდვა.

გადიდდა მოსახლეობისა და კოლმეურნეობებისათვის საწარმოო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის — სამასალე მერქნის, ცემენტის, შიფერის, სატვირთო ავტომობილების მიყიდვა. მიუხედავად იმისა, რომ გაიზარდა სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოება და გაყიდვა და რომ მნიშვნელოვანია საქონლის რესურსები როგორც ქალაქად, ისე სოფლად, მოსახლეობის მოთხოვნილება სახალხო მოხმარების ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან საქონელზე ჯერ კიდევ სრულად ვერ კმაყოფილდებოდა. სავაჭრო ორგანიზაციები ჯერ კიდევ საკმაო ზეგავლენას ვერ ახდენენ მრეწველობაზე საქონლის ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების მხრივ.

საზოგადოებრივი კვების საწარმოებმა ხუთ წელიწადში კერძების გამოშვება გაადიდეს 45 პროცენტით. მაგრამ საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციაში დიდი ნაკლოვანებებია; მომხმარებელთა მომსახურება საზოგადოებრივი კვების ბევრ საწარმოში ცუდად არის მოწყობილი.

საბელმწიფო ვაჭრობის მაღაზიების რაოდენობა გადიდდა 15 პროცენტით, ამასთან გაფართოვდა სპეციალიზებული მაღაზიების ქსელი. სასადილოების, რესტორანებისა და საჩაიეების რაოდენობა გადიდდა 11 პროცენტით. მაგრამ მაღაზიების, საწყობებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების რაოდენობა და სავაჭრო საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ შეიქმნას საჭირო მოხერხებულობა და მოეწყოს მომხმარებელთა ნორმალური მომსახურება.

3. მეხუთე ხუთწლედში დიდი მუშაობა შესრულდა საბინაო მშენებლობის, ქალაქების, მუშათა დაბებისა და სასოფლო რაიონული ცენტრების კეთილმოწყობის დარგში. ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში სახელმწიფო გეგმით გამოყოფილი სახსრების, აგრეთვე საწარმოთა ფონდების და სხვა არაცენტრალიზებული სახსრების გამოყენებით აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი აღემატება 1.600 ათას კვადრატულ მეტრს. ამავე პერიოდში ქალაქის მოსახლეობამ თავისი სახსრებით და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით ააშენა 636 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის სახლები. სოფელ ადგილებში 1951-1955 წლებში იხდივიდუალურმა მენაშენეებმა 36 ათასზე მეტი სახლი ააშენეს.

რესპუბლიკის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში განსაზოგადოებული საბინაო ფონდი ხუთწლედის მანძილზე 22 პროცენტით გადიდდა.

მნიშვნელოვნად გაუძჯობესდა ქალაქის კომუნალური ტრანსპორტის მუშაობა. ტროლეიბუსის ხაზის სიგრძე ქალაქ თბილისსა და ქუთაისში 1955 წელს შეადგენდა 68,2 კილომეტრს, ანუ 82 პროცენტით მეტს, ვიდრე 1950 წელს; მგზავრთა გადაყვანა ერთიორად გადიდდა.

გაუმჯობესდა კომუნალურ საწარმოთა მუშაობა. წყალსადენის ქსელის ერთმაგი განფენილობა ხუთწლედის დამლევისათვის 26 პროცენტით გადიდდა, წყლის საღღეღამისო მიწოდება — 59 პროცენტით, კანალიზაციის ქსელის ერთმაგი განფენილობა — 19 პროცენტით. მაგრამ კომუნალურ საწარმოთა მუშაობას ჯერ კიდევ ახლავს არსებითი ნაკლოვანებანი, განსაკუთრებით წყალმომარაგების, კანალიზაციისა და აბანო-სამრეცხაოთა მეურნეობის დარგში. რესპუბლიკის ქალაქებში, განსაკუთრებით ქალაქ თბილისში სასმელი წყლის მნიშვნელოვანი დანაკარგია სახლების შიდა ქსელში.

4. წლითიწლობით უმჯობესდება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. გაფართოვდა სამკურნალო საავადმყოფო დაწესებულებების, დისპანსერების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, საბავშვო ბაღების, აგრეთვე საბავშვო ბაღების ქსელი.

საავადმყოფო დაწესებულებებში საწოლების რიცხვი ხუთწლედში 23 პროცენტით გადიდდა. ბავშვთა რაოდენობამ საბავშვო ბაღებში მეხუთე ხუთწლედის დამლევისათვის 30 ათასს მიაღწია, ე. ი. 1950 წელთან შედარებით 29 პროცენტით გადიდდა. სანატორიუმებში ადგილების რიცხვი 28 პროცენტით გადიდდა, დასასვენებელ სახლებში—36 პროცენტით. ექიმთა რაოდენობა 1950 წელთან შედარებით გადიდდა 2,3 ათასი კაცით, ანუ 24 პროცენტით.

5. განვლილ ხუთწლედში თანმიმდევრულად მაღლდებოდა მოსახლეობის კულტურული დონე.

რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში, რესპუბლიკური დაქვემდებარების დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში წარმატებით ხორციელდება საყოველთაო საშუალო განათლების შემოღება არასრული საშუალო განათლების ნაცვლად.

რესპუბლიკაში საშუალო სკოლების, მათ შორის მუშა ახალგაზრდობის სკოლების მე-9—მე-11 კლასების მოსწავლეთა რიცხვი 1955 წელს 1950 წელთან შედარებით 70 ათასი კაცით, ანუ ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა, სოფელ ადგილებში მე-9—მე-11 კლასების მოსწავლეთა რიცხვი გადიდდა 27 ათასი კაცით, ანუ 86 პროცენტით. რესპუბლიკაში საშუალო სკოლების რიცხვი ხუთწლედის მანძილზე 25 პროცენტით გადიდდა. 1955 წელს რვა კლასის კურსდამთავრებულთაგან 1955-1956 სასწავლო წელს საშუალო სკოლების მე-9 კლასებსა და ტექნიკუმებში სწავლას განაგრძობს მოსწავლეთა 85 პროცენტი.

6. მეხუთე ხუთწლედში მიღწეულ იქნა შემდგომი წარმატებანი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის სპეციალისტთა მომზადების დარგში.

უძაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის დაუსწრებლებში, 1955 წელს სწავლობდა 38 ათასი სტუდენტი, ანუ 3 ათასით მეტი, ვიდრე 1950 წელს. ტექნიკუმებსა და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, მათ შორის დაუსწრებლებში, 1955 წელს სწავლობდა 30 ათასზე მეტი კაცი, ე. ი. 7 ათასით მეტი, ვიდრე 1950 წელს.

1951-1955 წლებში რესპუბლიკის უმაღლესმა და საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა (მათ შორის დაუსწრებლებმა) რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის გამოუშვეს 59 ათასი სპეციალისტი, ანუ 15 პროცენტით მეტი, ვიდრე 1946-1950 წლებში.

უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა რიცხვი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეხუთე ხუთწლედის მანძილზე 1,2-ჯერ გადიდდა.

7. მეხუთე ხუთწლედის მანძილზე გარკვეული წარმატებებია მიღწეული მეცნიერების დარგში. რესპუბლიკაში მეცნიერ მუშაკთა, მათ შორის სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების რიცხვი 1955 წლის 1 ოქტომბრისათვის 5.667 კაცს შეადგენდა და 1955 წელს 1950 წელთან შედარებით გადიდდა 17 პროცენტით. ასპირანტების გამოშვება მეხუთე ხუთწლედში ექვსჯერ გადიდდა მეოთხე ხუთწლედთან შედარებით.

8. კვალიფიციური მუშათა კადრებით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფად მეხუთე ხუთწლედში შრომითი რეზერვების სასწავლებლებმა და სკოლებმა მოამზადეს თითქმის 24 ათასი მუშა, აქედან ტექნიკურმა და სახელოსნო სასწავლებლებმა—8 ათასი კაცი, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებმა — 3.000 კაცი, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებმა — 12,6 ათასი კაცი.

უშუალოდ წარმოებაში მოწყობილი კურსების და სკოლების სისტემაში, აგრეთვე იხდივიდუალურ-ბრიგადული სწავლების გზით ახალ პროფესიებს სწავლობდა და კვალიფიკაციას იმაღლებდა ყოველწლიურად 86 ათასზე მეტი მუშა და მოსამსახურე.

მეხუთე ხუთწლედში კვლავ ვითარდებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. 1950 წელთან შედარებით მასობრივი ბიბლიოთეკების რიცხვი გადიდდა 23 პროცენტით, მათმა წიგნის ფონდმა 1955 წლის დამლევისათვის 9,8 მილიონი ცალი შეადგინა, ანუ 93 პროცენტით გადიდდა; სოფლის მასობრივ ბიბლიოთეკათა წიგნების ფონდმა შეადგინა 5,6 მილიონი ცალი, ანუ 2,4-ჯერ გადიდდა. რესპუბლიკის კინოდანადგართა რაოდენობა ხუთ წელიწადში გადიდდა 73 პროცენტით. 1955 წელს გამოიცა წიგნები 10 მილიონ ცალზე მეტი საერთო ტირაჟით, ანუ 25 პროცენტით მეტი, ვიდრე 1950 წელს, ჟურნალები 2,5 მილიონი ცალი ტირაჟით ანუ 79 პროცენტით მეტი; გაზეთების წლიურმა ტირაჟმა შეადგინა 144 მილიონი ანუ 25 პროცენტით მეტი, ვიდრე 1950 წელს; ერთჯერადმა ტირაჟმა — 718 ათასი ცალი ანუ 21 პროცენტით მეტი, ვიდრე 1950 წელს.

მეხუთე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის წარმატებით განვითარება ახალი ეტაპი იყო საქართველოს სსრ ეკონომიკის, კულტურისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის გზაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისია

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲢᲘᲢᲝᲡ

ᲙᲘᲔᲕᲘ, 21 ივნისი. (საკდესი). დღეს უკრაინის დედაქალაქი დიდი გულითადობით და სტუმართმოყვარეობით შეხვდა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოსა და მის თანმხლებ პირებს. სტუმრების შესახვედრად ვაგზალში მოვიდნენ უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. ს. კოროტჩენკო, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ი. კირიჩენკო, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ტ. კალჩენკო და სხვა ოფიციალური პირები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, პრესის წარმომადგენლნი.

საზეიმო მარშის ხმაზე სპეციალური მატარებელი უახლოვდება ბაქანს. ვაგონიდან გამოვიდნენ ამხანაგი იოსიპ ბროზ ტიტო და მისი თანმხლები იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწეები. უკრაინის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები მივიდნენ პრეზიდენტ იოსიპ ბროზ ტიტოსა და მის თანამგზავრებთან, მეგობრულად ჩამოართვეს მათ ხელი. პიონერებმა ყვავილების თაიგულები მიართვეს სტუმრებს. საპატიო ყარაულის უფროსმა პატაკი მისცა პრეზიდენტს. დიდებულად ქუჩას იუგოსლავიის, საბჭოთა კავშირისა და უკრაინის სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

ვაგზლის აივნიდან უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. ს. კოროტჩენკომ სიტყვა წარმოთქვა.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ.

პრეზიდენტს სიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით.

მიტინგი დამთავრებულია. იუგოსლავ სტუმრებს მთელ გზაზე მათთვის მიჩენილ რეზიდენციამდე მხურვალედ მიესალმებოდა უკრაინის დედაქალაქის ასი ათასობით მცხოვრები.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

როგორც პრესა უკვე იუწყებოდა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი ადენაუერი ამას წინათ პრესკონფერენციაზე ბონში გამოვიდა მტკიცებით, რომელიც უხეშად ამახინჯებს საბჭოთა კავშირის პოლიტიკას გერმანიის საკითხში. დაიმოწმა რა ცნობები, რომლებიც მან თითქოს საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებისაგან მიიღო, ადენაუერი ამტკიცებდა, თითქოს მოსკოვში საფრანგეთის მთავრობის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების დროს ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ უმჯობესია იყოს 17 მილიონი გერმანელი „საბჭოთა ბლოკში“, ვიდრე 70 მილიონი გაერთიანებულ, დაე თუნდაც ნეიტრალიზებულ გერმანიაში. მიაწერა რა ეს სიტყვები ნ. ს. ხრუშჩოვს, ადენაუერი შეეცადა შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს საბჭოთა კავშირი გამოდის გერმანიის გაერთიანების წინააღმდეგ.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ადენაუერის მტკიცებას არა აქვს არავითარი ნიადაგი და უხეშად ამახინჯებს ფაქტებს. სინამდვილეში ნ. ს. ხრუშჩოვმა, ჩამოაყალიბა რა საფრანგეთის დელეგაციასთან მოლაპარაკების დროს საბჭოთა კავშირის ცნობილი პოზიცია გერმანიის საკითხში, ამასთან აღნიშნა, რომ სსრ კავშირი ვერ დაეთანხმება გაერთიანებული გერმანიის შეყვანას რომელიმე სამხედრო დაჯგუფებებში, რომლებიც მიმართული იქნება საბჭოთა კავშირისა და მისი მეგობარი ქვეყნების წინააღმდეგ. აქვე უნდა ითქვას, რომ იგივე* თვალსაზრისი ნ. ს. ხრუშჩოვმა გამოთქვა ფედერალური კანცლერის ადენაუერის წინაშე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციასთან მოლაპარაკების დროს მოსკოვში გასული წლის სექტემბერში. აქედან ჩანს, რომ ბ-ნი ადენაუერი ცდილობს ნ. ს. ხრუშჩოვს მიაწეროს შეხედულებანი, რომლებიც მას, ნ. ს. ხრუშჩოვს, არ გამოუთქვამს.

საბჭოთა კავშირის პოზიცია გერმანიის საკითხში კარგად არის ცნობილი.

საბჭოთა კავშირს, რომელიც კვლავაც რჩება გერმანიის როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს გაერთიანების მომხრედ, არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს იმას, რომ ოთხ სახელმწიფოს შორის შეთანხმების გზით გერმანიის საკითხის მოწესრიგების [illegible] ჰქონდა მთელი ათი წლის განმავლობაში წარმატება [illegible] დადებითი შედეგები. [illegible] ასევე უნდა აგრეთვე იმ ფაქტს, რომ გერმანიის ტერიტორიაზე არსებობს და ვითარდება ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამ პირობებში არ არის სხვა რეალური გზა გერმანიის გაერთიანებისათვის, გარდა პირდაპირი მოლაპარაკებისა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მზად არის დაამყაროს ამ მიზნით უშუალო კონტაქტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასთან, მაშინ როდესაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ჯერ კიდევ უარს ამბობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან თანამშრომლობაზე, რის გამო გერმანიის პრობლემა გარდუვალად იქცევა ჩიხში და უსაგნო ხდება ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკებაც გერმანიის გაერთიანების საკითხზე.

ამრიგად, გერმანიის პრობლემის მოწესრიგება ახლანდელ პირობებში დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მზადყოფნაზე შეუთანხმდეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას საკითხებში, რომლებიც ეხება იმას, თუ რა გზით უნდა მოხდეს გერმანიის გაერთიანება.

ყურადღებას იპყრობს ის, რომ ამ ბოლო დროს დასავლეთ გერმანიის ზოგიერთი ხელმძღვანელი მოღვაწე სულ უფრო ხშირად მიმართავს ყოველგვარ მონაჭორს საბჭოთა კავშირის მიმართ, როგორც ჩანს, იმ ვარაუდით, რომ ამრიგად დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობის თვალში გაამართლოს დასავლეთ გერმანიის დაწყებული მილიტარიზაცია და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ღონისძიებებისადმი წინააღმდეგობის თავისი წინდაუხედავი პოლიტიკა. მაგრამ ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ასეთი პოლიტიკა არ შეესაბამება ახლანდელი დროის სულისკვეთებას და შეუძლია მხოლოდ დააბრკოლოს გერმანელი ხალხის საერთოეროვნული ამოცანების გადაჭრა.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲡ Გ. Კ. ᲟᲣᲙᲝᲕᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ“

20 ივნისს კრემლში იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ იუგოსლავიის უმაღლესი ორდენი „თავისუფლება“ გადასცა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს, საბჭოთა კავშირის მარშალს გ. კ. ჟუკოვს მეორე მსოფლიო ომის დროს მისი თვალსაჩინო დამსახურებისათვის.

ორდენის გადაცემისას იოსიპ ბროზ ტიტომ თქვა, რომ მხედრული მამაცობის ეს უმაღლესი ნიშანი გადაეცემა საბჭოთა სარდალს მისი თვალსაჩინო დამსახურებისათვის გამარჯვების მოპოვების საქმეში მეორე მსოფლიო ომის დროს.

ორდენის მიღებისას გ. კ. ჟუკოვმა თქვა:

ნება მიბოძეთ, ამხანაგო პრეზიდენტო, გადაგიხადოთ გულითადი მადლობა იუგოსლავიის უმაღლესი სამხედრო ორდენით — „თავისუფლების“ ორდენით ჩემი დაჯილდოების გამო. ეს მაღალი ჯილდო მე მიმაჩნია საბჭოთა შეიარაღებული ძალების უდიდესი დამსახურების აღიარებად საბჭოთა შეიარაღებული ძალებისა და იუგოსლავიის შეიარაღებული ძალების ერთობლივ ბრძოლაში გერმანელ ფაშისტთა შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის წლებში.

დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა და იუგოსლავი ხალხები მშვიდობისათვის, სოციალიზმისათვის, მთელი კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში მუდამ ერთად იქნებიან, როგორც ღვიძლი ძმები.

სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ხალხები ამ იშვიათ ძალებს მშვიდობის შენარჩუნებისა და გამტკიცებისათვის და გამსჭვალული ათიან მისწრაფებით ბოლომდე დიაცვან მშვიდობის საქმე. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ხალხები კვლავაც ერთად იქნებიან ხელიხელჩაკიდებული და, თუ საჭირო იქნა, თუ თავს მოგვაჩვენეს ომი, საკადრის პასუხს გასცემენ იმათ, ვინც დაარღვევს მშვიდობას ხალხთა შორის.

დიდ მადლობას მოგახსენებთ.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს იოსიპ ბროზ ტიტოს გადასცა სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენი ომში გამოჩენილი ოსტატობისა — ს. ზაქარიაძე, ვ. გოძიაშვილი, ე. აფხაიძე, გ. სალარაძე, ა. ყორეულიანი, ს. თაყაიშვილი, ო. დოლიძე, ს. ჯაფარიძე, ა. კვანტალიანი, ა. გომელაური და სხვები.

ახალგაზრდათა შორის თავიანთი ნიჭით კარგ იმედებს იძლევიან ც. ციცქიშვილი, ე. გვაზავა, თ. მაისურაძე, ქ. კასრაძე, ე. აფხაზავა, მ. გოძიაშვილი.

ფილარმონიის საგასტროლო ღონისძიებებში მუდამ გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის მოწინავე მხატვრული კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები.

მიუხედავად წარმატებებისა, საქართველოს ფილარმონიის მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლია. მაგალითად, საფუძვლიან გაუმჯობესებას მოითხოვს რეპერტუარი. ჩვენი ცალკეული შემსრულებლები მაყურებელს ხშირად ძველი, ყოველგვარ აქტუალობას მოკლებული, მხატვრულად სუსტი რეპერტუარით უმასპინძლდებიან. პირველ რიგში ეს ითქმის ლიტერატურული ტექსტის შესახებ, თუმცა ვერც მუსიკალური რეპერტუარი ღგას სასურველ დონეზე. საჭიროა მიკ. ვაშაკიძის მხატვრული ხელმძღვანელობით. ზოგიერთი ხალხური საკრავი, რომელიც უკანასკნელ ხანებში დავიწყებას იყო მიცემული, კვლავ აღდერდა ანსამბლში.

ამ დღეებში მაყურებლის წინაშე სრული პროგრამით წარსდგება ახლად ჩამოყალიბებული საქართველოს სახელმწიფო სიმღერა-ორკესტრი გიორგი ბახანაშვილის ხელმძღვანელობით. მაგრამ ეს მუშაობა უფრო ლაბორატორიულ-აკადემიური ხასიათისაა, ვიდრე მასობრივი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, რომლის დირიჟორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შალვა აზმაიფარაშვილი. წარმატებით მუშაობს ახალგაზრდა დირიჟორი ჯემალ გოკიელი. ორკესტრი მუშაობს როგორც კლასიკურ, ისე საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებზე. იგი ეწევა სიმფონიური მუსიკის ფართო პოპულარიზაციას. წარსულში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით სიმფონიური ორკესტრის მუშაობაში დირიჟორებს ი. ფალიაშვილს, ე. მიქელაძეს, ო. დიმიტრიადეს.

დიდი პოპულარობა მოიპოვა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა, სახელმწიფო სიმღერა-ანსამბლის კვარტეტმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების ბ. ჭიაურელის, გ. ხატიაშვილის, ალ. ბეგალიშვილისა და გ. ბარნაბიშვილის შემადგენლობით. კვარტეტმა წარმატებით გამართა გასტროლები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში, აგრეთვე გერმანიასა და ჩეხოსლოვაკიაში.

მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებულმა სახელმწიფო ანსამბლმა რესპუბლიკის სახალხო არტისტების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის მხატვრული ხელმძღვანელობით.

დიდი წარმატებებით სარგებლობს აგრეთვე საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი კომპოზიტორ ვალერიან ცაგარეიშვილის ხელმძღვანელობით. ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფი ჯანო ბაგრატიონი-საქმის სიყვარულით ხელმძღვანელობს ამ ნიჭიერი კოლექტივის ქორეოგრაფიულ ნაწილს.

გამოირჩევა ანსამბლის სახალხო საკრავებზე მომუშავე ჯგუფი ბ. ფალავანდიშვილის ხელმძღვანელობით. ზოგიერთი ხალხური საკრავი, რომელიც უკანასკნელ ხანებში დავიწყებას იყო მიცემული, კვლავ აღდერდა ანსამბლში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲣᲒᲘᲚᲔ

საქართველოს ფილარმონიას 50 წელი შეუსრულდა. ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მოწინავე ჯგუფმა ჩამოაყალიბა ფილარმონიული საზოგადოება და სათავეში ჩაუდგა ქართული მუსიკალური კულტურის ორგანიზაციისა და განვითარების საქმეს.

ქართული ფილარმონიული საზოგადოების მიზანს შეადგენდა როგორც ქართული, ისე საერთოდ მუსიკის შესწავლა და გავრცელება. თუ ადრე ქართული ხალხური მუსიკალური ნიმუშების შეკრებას ცალკეული პირები ეწეოდნენ და ეს მოლოდ შემთხვევით მოვლენას წარმოადგენდა, ფილარმონიული საზოგადოების შექმნით ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს ორგანიზებული და სისტემატური ხასიათი მიეცა. ქართული ხალხური სიმღერების შეკრების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღოდათ ია კარგარეთელს, ი. სულხანიშვილს, ვ. აღლიაშვილს, ზ. ჩხიკვაძეს, იპოლიტოვ-ივანოვს, ზ. ფალიაშვილს, გროზდოვს, კორიშჩენკოს, ყორანოვს, ხოლო შემდეგში — მ. ბალანჩივაძეს, დ. არაყიშვილს, კ. ფოცხვერაშვილს.

ქართული ფილარმონიული საზოგადოების ინიციატივით 1913 წლის 27 აპრილს თბილისში დაიდგა ზ. ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ მესამე მოქმედება ავტორის დირიჟორობით.

ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებასთან არსებობდა აგრეთვე სკოლა, რომელიც ზრდიდა კადრებს მუსიკალური ხელოვნებისათვის. გარდა ამ სკოლისა და მომღერალთა გუნდისა, ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებასთან არსებობდა ინსტრუმენტული კვარტეტი, რომელიც მართავდა კონცერტებს.

მიუხედავად იმ თვალსაჩინო მუშაობისა, რაც წარსულში გაწია ქართულმა ფილარმონიულმა საზოგადოებამ, ჩვენი ეროვნული მუსიკის განვითარებას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ამჟამად საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სამოქმედო ასპარეზი, მისი როლი და დანიშნულება მუსიკალური კულტურის შემდგომი აყვავების საქმეში განუზომლად არის გაზრდილი.

ყოველწლიურად საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ხაზით დაახლოებით 4 ათასი კონცერტი იმართება მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში.

ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა სახელმწიფო კაპელა გიორგი ხახანაშვილის ხელმძღვანელობით. მაგრამ ეს მუშაობა უფრო ლაბორატორიულ-აკადემიური ხასიათისაა, ვიდრე მასობრივი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, რომლის დირიჟორია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შალვა აზმაიფარაშვილი. წარმატებით მუშაობს ახალგაზრდა დირიჟორი ჯემალ გოკიელი. ორკესტრი მუშაობს როგორც კლასიკურ, ისე საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებზე. იგი ეწევა სიმფონიური მუსიკის ფართო პოპულარიზაციას. წარსულში მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით სიმფონიური ორკესტრის მუშაობაში დირიჟორებს ი. ფალიაშვილს, ე. მიქელაძეს, ო. დიმიტრიადეს.

დიდი პოპულარობა მოიპოვა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა, სახელმწიფო სიმღერა-ანსამბლის კვარტეტმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების ბ. ჭიაურელის, გ. ხატიაშვილის, ალ. ბეგალიშვილისა და გ. ბარნაბიშვილის შემადგენლობით. კვარტეტმა წარმატებით გამართა გასტროლები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში, აგრეთვე გერმანიასა და ჩეხოსლოვაკიაში.

მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის კოჩა პოპოვიჩის პრეს-კონფერენცია

20 ივნისს, მას შემდეგ, რაც ხელმოწერილ იქნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა ერთობლივი განცხადება იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ ტიტოს საბჭოთა კავშირში სტუმრობის გამო, მოსკოვში, ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში გაიმართა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის კოჩა პოპოვიჩის პრეს-კონფერენცია, რომელსაც მრავალი საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტი დაესწრო.

კოჩა პოპოვიჩმა უპასუხა ჟურნალისტთა მრავალ შეკითხვაზე, რომლებიც საბჭოთა კავშირიდან იუგოსლავიის მოლაპარაკების შედეგებს ეხება. მან განაცხადა, რომ იუგოსლავიის დელეგაცია მეტად კმაყოფილია თავისი მოგზაურობის შედეგებით. აქედან მთავარია, თქვა კ. პოპოვიჩმა, თვალსაზრისთა დაახლოება და ურთიერთგაგებისა და ნდობის გაღიდება.

— პრეზიდენტმა ტიტომ, — თქვა ერთ-ერთმა კორესპონდენტმა, — გუშინ, როცა გერმანიაზე ლაპარაკობდა, განაცხადა, რომ საჭიროა გაეგიგონოთ გერმანელი ხალხის ხმა გერმანიის საკითხის გადაჭრაში. ნიშნავს თუ არა ეს, რომ პრეზიდენტი ტიტო მხარს უჭერს სრულიად გერმანიის არჩევნებს?

— პრეზიდენტი ტიტო რომ მხარს უჭერდეს ასეთ კონკრეტულ გადაჭრას, — უპასუხა კ. პოპოვიჩმა, — მე ვფიქრობ, რომ იგი იტყოდა ამას. როგორც მე მესმის, ძირითადი, რაც პრეზიდენტმა ტიტომ გუშინ თქვა, ის არის, რომ მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა კონტაქტები დამყარდეს აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიას შორის. თუ ორივე მხარე, და ამასთანავე დანარჩენი მხარეები, რომლებიც ამით დაინტერესებული არიან, შეთანხმდება, რომ ყველაზე უმჯობესი იქნებოდა მოეწყოს სრულიად გერმანიის არჩევნები, ჩვენ ალბათ ამის საწინააღმდეგო არაფერი გვექნებოდა.

შეკითხვაზე, თუ რი ახალი ღონისძიებანი აქვს განზრახული იუგოსლავიას მშვიდობის განმტკიცების საქმეში და რა მნიშვნელობა ექნება ამასთან დაკავშირებით ნასერის ბელგრადში ჩასვლას, აგრეთვე ამხ. ტიტოს გამგზავრებას კორფუზე, კ. პოპოვიჩმა განაცხადა:

— იუგოსლავიის განზრახვა ის არის, რომ განაგრძოს ახლანდელი პოლიტიკა და ინიციატივა, რომელსაც დღემდე იჩენდა. ყველა სტუმრობა, ვიზიტი და შეხვედრა, რომლებზეც თქვენ გკითხეთ, შედის ასეთი პოლიტიკის ფარგლებში.

ერთ-ერთმა კორესპონდენტმა იკითხა: შეიძლება თუ არა, იმასთან დაკავშირებით, რომ ორივე მთავრობამ გამოთქვა ჩინეთის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღების იმედი, მოველოდეთ კონკრეტულ ინიციატივას ამ საკითხში.

კ. პოპოვიჩმა უპასუხა: რამდენადაც იუგოსლავიის მთავრობამ გამოთქვა თავისი შეხედულება იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა ჩინეთის მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად, გასაგებია, რომ იგი განავითარებს შესაბამის ინიციატივას და გადადგამს შესაბამის ნაბიჯებს.

უპასუხა რა კითხვაზე, თუ როგორ შეფასებას აძლევს იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იუგოსლავიის კომუნისტური კავშირის შეხედულებათა დაახლოებას, კ. პოპოვიჩმა თქვა: მე მიმაჩნია, რომ ასეთი დაახლოება წვლილია მსოფლიოს სხვადასხვა მუშათა და სხვა პროგრესულ მოძრაობებს შორის თანამშრომლობაში და წვლილია მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ეგვიპტის პრემიერ-მინისტრის გამალ აბდელ ნასერის სიტყვა მიტინგზე კაიროში

კაირო, 20 ივნისი. (საკდესი). ეგვიპტის ეროვნული დღესასწაულის — დამოუკიდებლობისა და რესპუბლიკის დღის გამო გუშინ საღამოს კაიროში რესპუბლიკის მოედანზე დიდი სახალხო მიტინგი გაიმართა. ეროვნული ალმებითა და განთავისუფლების ორგანიზაციის დროშებით ლამაზად მორთულ ვეებერთელა მოედანზე შეიკრიბნენ დედაქალაქის მცხოვრებნი, პროფესიების დელეგაციები, პოფესიაკავშირების, საზოგადოებრივი, ახალგაზრდათა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. მიტინგს დაესწრნენ დღესასწაულზე ჩამოსული საქმრები, უცხოელი დელეგაციები, ეგვიპტეში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტები. მიტინგს დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი, რომელიც ეგვიპტის მთავრობის მოწვევით ჩამოვიდა ეგვიპტეში. შეკრებილნი გულითადად მიესალმნენ ხელმძღვანელი რევოლუციური საბჭოს და მთავრობის წევრებს პრემიერ-მინისტრ გამალ აბდელ ნასერის მეთაურობით.

განთავისუფლების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა იბრაჰიმ ტახაუთმ გახსნა მიტინგი და სიტყვა მისცა პრემიერ-მინისტრს გამალ აბდელ ნასერს, რომელმაც ვრცელი სიტყვა წარმოთქვა. ეგვიპტის პრემიერ-მინისტრის სიტყვა მიტინგმა დიდი ყურადღებით მოისმინა. სიტყვის დროს არაერთხელ გაისმოდა ტაში და მისალმების შეძახილები. ნასერის სიტყვა ტრანსლირებულ იქნა კაიროს რადიოთი.

თავის სიტყვაში გამალ აბდელ ნასერმა გამოაცხადა, რომ მთავრობამ გადაწყვიტა გააუქმოს სამხედრო წესების კანონი. რომელიც ეგვიპტეში არსებობდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან. მან აგრეთვე განაცხადა, რომ განთავისუფლებულია ყველა ის პირი, რომელიც დაპატიმრებული იყო პოლიტიკური მოტივით. ჩვენ, თქვა ნასერმა, დავაპატიმრეთ 2.000-2.500 კაცი, რომლებიც, ჩემი აზრით, ჩვენი იდეალების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ახლა ყველა ისინი თავისუფალი არიან.

ეგვიპტელმა ხალხმა, თქვა ნასერმა, გამარჯვება მოიპოვა. ბოლო მოეღო მრავალი წლის ოკუპაციას. ამიერიდან ეგვიპტის მთელ ტერიტორიაზე მარტო ეგვიპტის ალმი ფრიალებს. ჩვენ გულში ვგრძნობთ თავისუფლებას, რომელისთვისაც ჩვენი მამა-პაპანი იბრძოდნენ. ამიერიდან ეგვიპტე ეგეოუთნით თქვენ — მის შვილებს, მთელ ხალხს და არა ერთ მუჭა ექსპლოატატორებს. ახლა ეგვიპტის ბატონ-პატრონი ხართ თქვენ — ხალხი, და არა ოკუპანტები და არა ექსპლოატატორები.

ჩვენ ბრძოლის ახალ ეტაპში შევედით. გზა, რომელიც წინ გვიდევს, ჯერ კიდევ გრძელია. ჩვენს წინაშე დგას ჩვენი ქვეყნის მშენებლობის დიდი ამოცანები. მივალწიეთ რა უცხოეთის ჯარების ევაკუაციას, ჩვენ მხოლოდ ერთ-ერთი ის მიზანი შეესრულეთ, რომლებისთვისაც რევოლუცია მოხდა.

პრემიერ-მინისტრმა მოუწოდა ხალხს ამრავლოს თავისი ღონისძიებანი ეგვიპტის აღორძინებისათვის. ახლა, თქვა მან, როცა თავს თავისუფლად ვგრძნობთ, ჩვენ ყველანი ერთად უნდა ვიბრძოდეთ სოციალური სამართლიანობისათვის. ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ნამდვილი სოციალური სამართლიანობა უზრუნველყოთ ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ ვიბრძვით საღი დემოკრატიული ცხოვრებისათვის. ჩვენ შევიმუშავეთ კონსტიტუცია, რომელიც დემოკრატიულ ცხოვრებას უზრუნველყოფს ხალხის უმრავლესობისათვის და არა ერთი მუჭა ექსპლოატატორებისათვის, როგორც ეს წარსულში იყო. ჩვენი მიზანია შევქმნათ ისეთი საზოგადოება, რომელსაც საფუძვლად დაედება თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპები და რომელშიც აღმოფხვრილი იქნება კლასთა შორის განსხვავება.

გამალ აბდელ ნასერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა განვითარდეს მრეწველობა და ამ ბაზაზე გაფართოვდეს სოფლის მეურნეობა. ჩვენ, თქვა მან, უნდა შეგქმნათ მძლავრი და თანამედროვე ინდუსტრია და გავადიდოთ საკუთარი ფართობი.

შეეხო რა საგარეო პოლიტიკის საკითხებს, პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ ეგვიპტე ყველა საშუალებით და, თუ საჭირო გახდა, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, დაიცავს თავის დამოუკიდებლობას. ჩვენ, ხაზგასმით აღნიშნა მან, ყველაფერს გავაკეთებთ, რაც კი შესაძლებელია, რათა დავიცვათ თავი უცხოელთა აგრესიისაგან, და განვამტკიცებთ ჩვენს არმიას. ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ ყველასთან, ვისაც სურს დაგვეხმაროს ჩვენი ქვეყნის შენებლობასა და მის ინდუსტრიალიზაციაში. ჩვენ არა გვაქვს იმპერიალისტური სწრაფვა, ჩვენ გვინდა შევინარჩუნოთ საკუთარი დამოუკიდებლობა და გვსურს გავათავისუფლოთ არაბთა ყველა ქვეყანა. ჩვენ შევედით ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლის ახალ სტადიაში.

ჩვენს საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს სამი ძირითადი პრინციპი: ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, დამოუკიდებლობის შენარჩუნება და საშინაო მშენებლობის უზრუნველყოფა. ჩვენ გვინდა მშვიდობა და გვინდა მშვიდობიანად ვცხოვროთ სხვებთან. ჩვენ არასოდეს არ მიგცემთ ნებას ვიმუშაოთ მიგვიჩნიოს თავისი გავლენის ზონად და არ დავუშვებთ, რომ უცხოეთიდან გვიკარნახონ. ჩვენი საგარეო პოლიტიკა არ ემსახურება უცხოელთა მიზნებს. ახლა, როცა თავი დავაღწიეთ ოკუპაციას და თავისუფლება მოვიპოვეთ, ვუცხადებთ მთელ მსოფლიოს — ამერიკას, რუსეთს, ინგლისს, — რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკა ეროვნულ ინტერესებს ემსახურება. ჩვენ ვითანამშრომლებთ ყველასთან, მაგრამ არა ეროვნული დამოუკიდებლობის ფასად და არა არაბთა სხვა ქვეყნების ხარჯზე. ჩვენ ვითანამშრომლებთ რუსეთთან, ამერიკასთან, ინგლისთან, არ განვსხვავებთ ერთმანეთისაგან სახელმწიფოებს და ვიხელმძღვანელებთ პრინციპით — მშვიდობიანად ვიყოთ იმათთან, ვისაც სურს მშვიდობიანად იყოს ჩვენთან.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დ. ტ. შეპილოვი კაიროში

კაირო, 20 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა გუშინ საღამოს ვიზიტი გაუკეთა ხელმძღვანელი რევოლუციური საბჭოს წევრს, პრემიერ-მინისტრის მოადგილეს გამალ სალემს და საუბარი ჰქონდა მასთან.

ბრაზილია

ბრაზილია
ატლანტიკის ოკეანე
ბოლივია
პარაგვაი
ურუგვაი
არგენტინა
ჩილე
ბოლივია
ბელემი
სან-ლუისი
ფორტალეზა
ნატალი
რეციფე
მაცეიო
ანაჟუ
სალვადორი
ბელო-ორიზონტი
ვიტორია
ტერეზინა
ბუენოს-აირესი
ბაია-ბლანკა
ბუენოს-აირესი
ბაია-ბლანკა
ბუენოს-აირესი
ბაია-ბლანკ